



1

ნაგავი დაყარეთ
სპეციალურად გამოყოფილ
ადგილზე და ხშირად
განმინდეთ წელის არხები

სწორია

მიზეზი: წლის არხებისა და
თხრილების ნაგვისაგან რეგულარული
განმენდა თავიდან აგვაცილებს
წყალდიდობას.



Save the Children



1

ნაგვის ძირს დაყრა

არასწორია

მიზეზი: ნაგვის ძირს დაყრა ხერგავს
წყლის სადინარ არხებს და ძლიერი
წვიმის დროს იწვევს წყალდიდობას.



Save the Children



2


ევაკუაციის დროს თოკის გამოყენება

სწორია

მიზეზი: თუ წყალი მუხლამდე
გწვდებათ, ძალიან გაგიჭირდებათ
სიარული. ამიტომ იარეთ მშობლებთან
ერთად თოკის გამოყენებით ისე, რომ
ერთმანეთს არ ჩამოსცილდეთ.



Save the Children



2


ევაკუაციის დამოუკიდებლად
განხორციელება (თოკის
გამოყენების გარეშე)

არასწორია

მიზეზი: ევაკუაციის დროს არ იაროთ
მარტო. იმიტომ, რომ შეიძლება წყლის
ნაკადი ძალიან ძლიერი იყოს და
დინებამ წაგიღოთ. ეს მოსალოდნელია
მაშინაც კი, როდესაც წყალი მხოლოდ
მუხლამდე გწვდებათ.



Save the Children



3

სახლის გარშემო
ქვიშით სავსე ტომრების
დანყობა

სწორია

მიზეზი: თუ ქვიშით სავსე ტომრებს
სახლის გარშემო დააწყობთ, წყალი
ვერ შევა სახლში და შეამცირებთ
წყალდიდობისგან მიყენებულ ზიანს.



Save the Children



3


წყლის სადინარებზე
ქვიშით სავსე ტომრების
დანყობა

არასწორია

მიზეზი: სადინარების დაფარვა ქვიშით
სავსე ტომრებით წყლის დინებას ხელს
შეუშლის და გამოიწვევს ტერიტორიის
სწრაფ დატბორვას.



Save the Children



4


ევაკუაციის დროს უსაფრთხო ადგილისაკენ გაქცევა

სწორია

მიზეზი: მეწყრის დროს ევაკუაციისას,
ყველაზე კარგია ფეხით სიარული,
რადგან თუ გზა დაბლოკილია,
შესაძლებელი იქნება ალტერნატიული
მარშრუტის მოძებნა.



Save the Children



4

ევაკუაციისას მანქანის ან
მოტოციკლეთის გამოყენება
უსაფრთხო ადგილზე
მისასვლელად

არასწორია

მიზეზი: მეწყრის დროს თუ
ტრანსპორტში იმყოფებით, უფრო
რთულია უსაფრთხო ადგილის პოვნა
და მოსალოდნელია, რომ გამოუვალ
მდგომარეობაში აღმოჩნდეთ.



Save the Children



5

ჭაში წელის გამოუქება
და ტალახის შერევა
შესაძლებელია,
მეწყრის ნიშანი იყოს

სსმორია

მიზეზი: მეწყრის ერთ-ერთი ნიშანი ჭის
წელის დაბინძურებაა, რასაც მიწის
შიგნით მიმდინარე პროცესები იწვევს.



Save the Children



5


ჭაში ჩაყრილი ფოთლები და
ტოტები
არის მეწყრის ნიშანი

არასწორია

მიზეზი: ჭაში ნაპოვნი ფოთლები და
ტოტები არ არის მეწყრის ნიშანი.
ისინი ჭაში ზემოდან ხვდება და არ
წარმოადგენს მიწის შიგნით მიმდინარე
პროცესების შედეგს.



Save the Children



6


ევაკუაციის დროს გაშლილი
ადგილებსკენ გაქცევა

სწორია

მიზეზი: თუ მიწის ჩამონახალის
ნიშნებს ხედავთ, სწრაფად
მოსცილდით მაღლობს და მოშორებით,
პერპენდიკულარულად, უსაფრთხოდ
ადგილისკენ გაემართეთ.



Save the Children



6

ევაკუაციის დროს
მაღლობისკენ გაქცევა

არასწორია

მიზეზი: მეწყრის დროს კლდის
ნატეხები, მიწა და ტალახი
თავდაღმართში მოექანება.
ევაკუაციისას მაღლობის
მიმართულებით გაქცევა საშიშაა.



Save the Children



7


მყარ შენობაში ფრთხილად შესვლა

სწორია

მიზეზი: წინასწარ ძნელია ქარიშხლის
მიმართულების განსაზღვრა, ამიტომ
გაცილებით უსაფრთხოა შენობაში
ყოფნა.



Save the Children



7

გარეთ გამოსვლა და ხის ქვეშ
თავის შეფარება

არასწორია

მიზეზი: ქარიშხალი ძალიან ძლიერია
და შეუძლია მოთხაროს ხე ან
ელექტროსადენების ბოძი. თუ ხეს
შეეფარებით, მოსალოდნელია, რომ
დაშავდეთ.



Save the Children



8

შენობაში ყოფნისას მჭიდროდ
დახურეთ კარი და ფანჯრები,
გაეხვიეთ საბანში და მყარ
კედელთან ახლოს გაჩერდით.

სწორია

მიზეზი: კარისა და ფანჯრების მჭიდროდ
დახურვით და მათგან შორს გაჩერებით
თავიდან შეგიძლიათ აიცილოთ ძლიერი
ქარი და მისგან შემოყრილი დამსხვრეული
საგნები.



Save the Children



8

შენობაში ყოფნისას, კარისა
და ფანჯრების გაღება და
მათთან ახლოს დადგომა

არასწორია

მიზეზი: ღია ფანჯარასთან დგომისას
შეიძლება დაშავდეთ დამსხვრეული
მინით ან სხვა რაიმე საგნით,
რომელსაც სახლში ძლიერი ქარი
შემოაგდებს.



Save the Children



9

ქარიშხლის ნიშნების
შემჩნევისას შუქის ჩაქრობა და
ქურის გათიშვა

სწორია

მიზეზი: თუ ქარიშხლის ნიშნებს
ამჩნევთ, სასწრაფოდ გამორთეთ
ელექტროენერგია და გათიშეთ ქურა.



Save the Children



9


შუქის ანთება იმისთვის, რომ
განათებულ გარემოში იყოთ

არასწორია

მიზეზი: ანთებული შუქი ან ქურა
ძალიან საშიშია, რადგან ქარიშხლის
დროს მოკლე ჩართვის და ხანძრის
წარმოქმნის დიდი საშიშროება
არსებობს.



Save the Children



10

ძლიერი ქარის დროს
ფანჯრების და დარაბების
დახურვა და გამაგრება

სწორია

მიზეზი: ძლიერი ქარის დროს
აუცილებლად უნდა დახუროთ
ფანჯრები და გაამაგროთ დარაბები,
რათა ოთახში შემოჭრილმა
ქარმა არ გამოიწვიოს თქვენი და
მატერიალური ფასეულობების
დაზიანება.



Save the Children



10

ძლიერი ქარის დროს
ფანჯრების და დარაბების
ლიად დატოვება.

არასწორია

მიზეზი: ძლიერი ქარის დროს
ფანჯრების და დარაბების ლიად
დატოვება გამოიწვევს თქვენს
დაზიანებას და მოგაყენებთ
მატერიალურ ზარალს.



Save the Children



11

ტანსაცმელზე ცეცხლის
გაჩენის შემთხვევაში, მიწაზე
დანოლა და კოტრიალი

სწორია

მიზეზი: თუ შემთხვევით ცეცხლი
წაგეკიდათ ტანსაცმელზე, ძალზე
საშიშია გაქცევა, რადგან ამ დროს
შეიძლება ცეცხლი მთელ სხეულს
მოედოს. უმჯობესია, დამხმარეს
დაუძახოთ და შეეცადოთ ცეცხლი
მიწაზე კოტრიალით ჩააქროთ.



Save the Children



11

ცეცხლის გაჩენის
შემთხვევაში გაქცევა

არასწორია

მიზეზი: გაქცევის დროს ცეცხლი
კიდევ უფრო აღდება და მთელ
სხეულს სწრაფად ედება.



Save the Children



12

კვამლიანი ოთახიდან ხოხვით
გასვლა

სწორია

მიზეზი: მომწამვლელი აირები
კვამლის სახით, ოთახის ან შენობის
ზედა ნაწილში გროვდება. ხოხვით
გამოსვლისას საშუალება გექლევათ
ნაკლებად დაბინძურებული აირი
შეისუნთქოთ.



Save the Children



12


კვამლის ან ცეცხლის
აღმოჩენის შემთხვევაში
ოთახში დარჩენა

არასწორია

მიზეზი: ცეცხლის აღმოჩენის
შემთხვევაში უნდა დაუძახოთ
უფროსებს და გამოიძახოთ
სახანძრო-სამაშველო სამსახური.



Save the Children



13


ხანძრის დროს კვამლიანი ოთახიდან
მუხლზე ჩოქვით ან ფორთხვით გასვლა და
წყლით გაჟღენთილი ქსოვილის სახეზე აფარება.

სწორია

მიზეზი: იატაკთან ახლოს ჰაერის ტემპერატურა უფრო დაბალია, ჟანგბადი - მეტი. ამასთან, თავი უნდა დაიჭიროთ იატაკიდან არაუმეტეს, 30 სანტიმეტრისა, რომლის ზემოთაც შესაძლოა იყოს მომწამვლელი გაზისებრი ნივთიერებების ფენა. სველი ქსოვილის სახეზე აფარებით კი, დაიცავთ ბრონქებსა და ფილტვებს გამაღიზიანებელი ნივთიერებების ზემოქმედებისაგან. მხოლოდ გახსოვდეთ, რომ ეს მეთოდი არ დაგიცავთ წვის შედეგად გამოყოფილი მხუთავი გაზით მოწამვლისგან.



Save the Children



13

ხანძრის დროს კვამლიანი
ოთახის დატოვება ჩვეულებრივი
სიარულით, სახეზე დამცავი
სახვევის გარეშე

არასწორია

მიზეზი: წვის მავნე პროდუქტები შეიძლება
დაგროვდეს ოთახში თქვენს სიმაღლეზე ან
უფრო მაღლა, ამიტომ ოთახიდან გადით
მუხლზე დაჩოქილი ან ფორთხვით და სახეზე
აიფარეთ წყლით გაჟღენთილი,
მრავალფენიანი ბამბის ქსოვილი.



Save the Children